პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 17 ოქტომბერი № 239 (17584) ფასი 2 კაპ.

შემოდგომა და მიწათმოქმედი

საციალისტური შრომის გმირმა ამირან ტოროტაძემ წელეულს 45,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, საიდანაც 79 პროცენტი ფაბრიკამ პირველ ხარისხად ჩაიბარა. ეს რეკორდია და სამჯერ აღემატება ამ რამდენიმე წლის წინანდელ უმაღლეს მაჩვენებლებს. ამ წარმატებას ა. ტოროტაძემ ჩაის საკრეფი ხელის აპარატის უნარიანი გამოყენებით მიაღწია. მაგრამ აქ მთავარი აპარატი როდია. დიდ ნაყოფიერი გარჯის თავიდთავი, ამბობს სახელოვანი მეჩაიე, არის შრომისა და დასვენების ის არაჩვეულებრივი პირობები, რომელშიც მუშაობა მიხდებაო. მის საველე ბანაკში დგას მცირავი, ტელევიზორი, იქვეა მსუბუქი ავტომანქანაც. ასეთი კომფორტით ბევრი სხვა სინდის-ნამუსიანად მშრომელი მეჩაიეც სარგებლობს ლიხაურში.

ტოროტაძის შრომის მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მასში, როგორც სარკეში, ჩანს ჩვენი დღეების მიწათმოქმედის სახე, ტექნიკას დაუფლებული, ცნობისმოყვარე ადამიანი, რომელიც სიძნელეებს არ უშინდება და შეუპოვარი, შემოქმედებითი შრომით წარმატებას აღწევს.

სწორედ ტოროტაძეებმა, ვოუბებმა, ბურდიაშვილებმა, ღოლეჯაშვილებმა, ქილეხსაევებმა, შონიებმა, პეტრიაშვილებმა და მათმა მომდევრებმა თავიანთი მარჯვენით, გამჭრიახობით, ხვალინდელი დღის რწმენით შეჭმნეს ყველა პირობა იმისათვის, რომ წლევანდელ ხორშაკიან გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ზოგჯერ გვეგონა გარვარებული მზის ქვეშ ცოცხალი აღარაფერი გადარჩებოდა, არათუ მოსავალი შევინარჩუნეთ, არამედ ბარაქიანი შემოდგომაც დავიყენეთ.

ტრადიციისამებრ ჩვენმა მკლავმოუღლელმა მეჩაიეებმა ვადაზე ადრე პირველებმა უპატაკეს პარტიას ვალდებულების შესრულება: მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 452 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, რაც გეგმა-დავალებას 52 ათასი ტონით აღემატება.

შარშანდელ მაჩვენებლებს გადააჭარბეს და წლევანდელი დავალება გადამეტებით შეასრულეს მარნეულელმა და გურჯაანელმა მემინდვრეებმა (ჰექტარზე საშუალოდ 28 ცენტნერი მარცვლეული მოიწიეს); სამტრედიელი, აბაშელი, მარნეულელი, ლაგოდეხელი, ლანჩხუთელი, ხიღნაღელი, ბოლნისელი მებოსტნეები სოციალისტური ვალდებულების შესრულების მაგალითს გვიჩვენებენ.

ჯერ რთველი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ გეგმები უკვე რეალიზებული აქვთ თელავის, ბოლნისის, ხიღნაღის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ახმეტის და სხვა რაიონებს. ახლა ისინი ახალი მიჯნების დასალაშქრავად იბრძვიან.

ეს წინასწარი შედეგები გვახარებს, მით უმეტეს, რომ ისინი შემთხვევით არ არის მიღწეული. მათში ჩაქსოვილია სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი გარჯა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ნაყოფია იმ კომპლექსური, ქმედითი ღონისძიებებისა, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. ყოველივე ამის შედეგია, რომ სოფელი ახეს იცვლის. ბევრი რამ საგულისხმო და საშვილიშვილო გაკეთდა ჩვენი სოფლისათვის; ომალოში გზა გავიდა, რომელმაც უმდიდრესი და ულამაზესი თუშეთი ბარის სიცივეს, თანამედროვე ყოფის სიკეთეს დააკავშირა;

ახალი სიცოცხლე მკვიდრდება ხევსურეთის სოფლებში, სადაც ზედიზედ ხარაჩოები ეხსნება ორსართულიან და სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს; როგორც იტყვიან, ახლად დაიბადა სოფელი ჭერემი გურჯაანის რაიონში და ეს კვლავ და კვლავ ხალხისათვის პარტიის ზრუნვის, მათი კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მეცადინეობის ნაყოფია.

მიუხედავად ამისა, დაშვიდების უფლება არ გვაქვს. სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. საჭიროა კვლავაც გავზარდოთ ჩაის, ხილის, ციტრუსისა და სხვა ძვირფასი საშხრეთული კულტურების წარმოება; წლეულს მოწინავე მეურნეობების მიერ მოპოვებული წარმატებები უნდა განვამტკიცოთ და მერმისისათვის ნორმად ვაქციოთ. ამისათვის კი ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მართებთ ყურადღება გაამახვილონ მიწათმოქმედის პროფესიული ოსტატობის ამაღლებაზე, იმაზე, რომ ადამიანები სწავლობდნენ და თავიანთ საუთრებად აქცევდნენ ყოველივე ახალს, რაც გამოჩნდა და მუდამ იჩენს თავს მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში. განსაკუთრებულ ზრუნვას იმსახურებენ მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ამ ადამიანებს ადგილობრივმა საბჭოებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობები უნდა შეუქმნან, უნარიანად წაახალისონ კადრები მაღალი მაჩვენებლებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო დღე, რომელიც ამ დღეებში მთელმა რესპუბლიკამ იზეიმა, დღესასწაულიც იყო და პირველი შედეგების შეჯამების დღეც. ციფრები კიდევ დაზუსტდება, დასკვნები გაიზომ-აიწონება და დასაბუთდება, მაგრამ, რაც მთავარია, დიდი სიძნელეების პირობებში მოპოვებული წარმატებები დამაიმედებელია. გამრჯე ხალხმა სტიქიას ცოტა როდი გამოსტაცა. მაგრამ აღმავალ გზაზე შემდგარი რესპუბლიკა სოფლის მშრომელებისაგან მოითხოვს წლევანდელი მოსავალი შარშანდელს ჭარბობდეს. ამიტომ მევენახემ თუ მეჩაიემ, მხვნელ-მთესველმა თუ მებოსტნემ წლეულს მეტი ჟინარახული უნდა დაიბინაოს.

ზეიმს არ შეშვენის, მაგრამ მაინც სათქმელია, რომ წლევანდელ ალობაში შრომის გმირების გვერდით ზოგმა საძრახისი საქციელიც, ხელმრუდობით შეირცხვინა თავი. მაგრამ მათ გუნება-განწყობილება მაინც ვერ წაუხდინეს ალალ და გამრჯე ადამიანებს. პირიქით, იმ გარემოებამ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სხვა სათანადო ორგანოებმა სახალხო დოვლათის დამტაცებლების მიმართ უმკაცრესი ოპერატიული ღონისძიებები განახორციელეს, სოფლის მშრომელი ღრმად დაარწმუნა, რომ ბრძოლა ყოველგვარი მანკიერებისა და განუკითხაობის წინააღმდეგ, კანონიერების აღდგენისათვის კიდევ უფრო ძლიერდება და ეს საერთო-სახალხო მოძრაობა გამარჯვებამდე გასტანს. ეს კი, თავის მხრივ, ენთუზიაზმის გაღვივების და რწმენის ჩანერგვის ერთ-ერთი პირობაა და ხელს უწყობს იმას, რომ ყველამ თავის სისხლხორცეულ საქმედ მიიჩნიოს საერთო საქმე.

ასეთ ვითარებაში დასაყრდენი ეცლებათ მუქთახორებს, წამგლეჯებს და მომხვეჭელებს. მეტად ფასობს პატიოსნება და თავდადებული შრომა, სოფელში ოპტიმისტური და ჯანსაღი ატმოსფერო მკვიდრდება. ამის გამო სულ უფრო მეტი ადამიანი ადგება აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

აქტიურობა კი განსაკუთრებით ახლაა საჭირო, როცა დიდძალი მოსავალი ჯერ დასაბინავებელია და დარიანი დღეები კი სულ ცლებულობს და კლებულობს.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ჭირნახულის დაბინავების გრაფიკების ზუსტი დაცვა. ამ საქმეს ხელი არ უნდა შეუშალოს ხვნა-თესვას, მომავალი მოსავლის საფუძვლის ჩაყრას. საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს შრომითი მეჯოგეობა, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს მორალური და მატერიალური სტიმულირების ყველა ღონისძიება.

მოსავლის დაბინავების, ტექნიკის შეკეთებისა და ხვნა-თესვის დაჩქარება, პირუტყვის გამოზამთრებისათვის ორგანიზებული მზადება ახლა სოფლად უმთავრესი საზრუნავია.

ხვნა-თესვის დაჩქარება მართებთ გორის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ახალციხის, დუშეთის, მარნეულის, ბოგდანოვკის, ასპინძისა და კახეთის თითქმის ყველა რაიონს. ლაგოდეხში, ბოლნისსა და საგარეჯოში კი თესლის მომზადების ტემპი უნდა გაძლიერდეს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებსაც ჩვენს სოფელზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებად მიაჩნიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალწინადელი დადგენილება საქართველოში სამხრეთული კულტურების და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ღონისძიებების შესახებ, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ხელხვავიანი შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავს. გაორკეცებული, გასამკეცებული მეცადინეობით უპასუხებენ პარტიის საშვიდწლოვანი მოწოდებას — იამაღლებენ წარმოების ეფექტიანობას, უარჰათიანად გამოიყენებენ მიწას, ტექნიკას, სასუქებს, მთელ მატერიალურ და ხაფინანსო რესურსებს, იბრძოლებენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის წარმატებით მოსამზადებლად, 1980 წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

კომუნისტური მრწამსის დიადი ძალა

იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

არა არის რა იმაზე უფრო მაღალი მოწოდება და იმაზე უფრო პასუხსაგები ამოცანები, ვიდრე მასებში მიგვინდეს კომუნიზმის დიადი იდეები. ამ უმნიშვნელოვანეს მისიას ასრულებენ იდეოლოგიური მუშაკები — პარტიის პოლიტიკის აქტიური გამტარებლები, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლები. სიტყვით და საქმით, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმა ცოდნითა და კომუნისტური რწმენის ძალით, აღმზრდელის ნიჭითა და ბოლშევიკური მგზნებარებით ზემოქმედებენ ისინი ადამიანთა გონებასა და გულზე, ხელს უწყობენ ახალი საზოგადოების ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებას.

პროპაგანდისა და აგიტაციის, ყველა ფორმის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სრულყოფის გზებს იხილავენ იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი. იგი გაიხსნა 16 ოქტომბერს მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში. თათბირის დღის წესრიგშია „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

თათბირში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და განყოფილებათა გამგეები, ცენტრალური იდეოლოგიური უწყებებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტმუშაკები, მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პროპაგანდისტული აქტივი, ჟურნალისტები.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, მ. ა. სუსლოვს, ა. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, მ. ს. გორბაჩოვს.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითაურობით.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

მოხსენება „მთელი პარტიის საქმე“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

დამსწრეთ მოხსენება მოისმინეს დიდი უყურადღებით. მოხსენების დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

(საკდესი).

სურათზე: მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში, სადაც მიმდინარეობს იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

საკდესის ტელეფოტო.

დიდი ოქტომბრის შეხვედრად

მშენებელთა მარჯვენით

გურჯაანი. თავდადებით იღვწის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომის ვახტზე საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის (მმართველი ვ. კუპრაძე) კოლექტივი.

ტრესტის კოლექტივმა იანვარ-სექტემბერში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დავალებას 21 პროცენტით გადაჭარბებეს და 6 მილიონ 995 ათასის ნაცვლად 8 მილიონ 33 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა სამი ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართი.

დ. ბერგიშვილი.

ხუთწლედის დონეზე

დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ერთ-ერთი მთავარი პუნქტი წარმატებით გაანაღდა ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა. მან მიაღწია დონეს, რომელიც ხუთწლედის დამლევისათვის გვქონდა დასახული შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ.

ეს საწარმოს ტექნიკური განახლების, შინაგანი რეზერვების გამოძებნისა და გამოყენების, მოწყობილობის მოცდენის შემცირების შედეგია. მაგალითად, თესლოვანი ხილის საჭრელი მანქანის საექსპლოატაციოდ გადაცემის მეთხებით თორმეტმა კაცმა მოიცალა და ამასთანავე შესაძლებელი გახდა ორმოცი პროცენტით გაზრდილიყო შრომის ნაყოფიერება.

საწარმოს პროდუქციას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ზუგდიდურ კონსერვებს იღებენ ციმბირის, უკიდურესი ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის მშრომელები. თორმეტი დასახელების პროდუქციის სესხად, რომელშიც შედიან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა საერთა-შორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები.

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების პაქტის მონაწილეა ევროპის ყველა სოციალისტური ქვეყანა, მათ შორის სსრ კავშირი, უკრაინის სს რესპუბლიკა და ბელორუსიის სს რესპუბლიკა, აგრეთვე მონოლეთი.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, ისინი სიტყვით გამოხატავენ ზრუნვას ადამიანის უფლებებისათვის, მაგრამ დღემდე არ შეუერთდნენ საერთაშორისო პაქტს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

ცნობა 16 ოქტომბრისათვის

გეგმის შესრულებას 78.777 ტონა აკლია

ყურძენი — მარნებში

15 ოქტომბერს დღიურმა კრეფამ შეადგინა 8.781 ტონა — 1.936 ტონით მეტი, ვიდრე წინა დღეს.

სულ დამზადებულია 496.223 ტონა.

15 ოქტომბერს გეგმა შეასრულა მახარაძის რაიონმა. ამ თარიღისათვის გეგმები შეასრულა ცხრა რაიონმა: სიღნაღის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებმა.

დავალებებს მალე შეასრულებენ თერჯოლის რაიონის მეურნეობები, რომლებმაც 19.218 ტონა ყურძენი დაამზადეს, გეგმით კი გათვალისწინებულია 21.000 ტონა, ცხაკაიას რაიონის მეურნეობებმა დაამზადეს 1.028 ტონა, გეგმა კი 1.100 ტონას ითვალისწინებს.

კახეთის რაიონებში დამზადებულია 350.464 ტონა ყურძენი, გეგმა კი ითვალისწინებს 370.400 ტონას. აქ 15 ოქტომბრის დღიურმა კრეფამ შეადგინა 3.843 ტონა — 1.619 ტონით მეტი, ვიდრე 14 ოქტომბერს.

ქართლის რაიონებში დამზადებულია 52.526 ტონა ყურძენი, გეგმა კი 78.590 ტონას ითვალისწინებს. 15 ოქტომბრის დღიურმა კრეფამ შეადგინა 1.641 ტონა — 696 ტონით მეტი, ვიდრე 14 ოქტომბერს.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში დამზადებულია 93.233 ტონა ყურძენი, გეგმა ითვალისწინებს 126.010 ტონას. 15 ოქტომბრის დღიურმა კრეფამ შეადგინა 3.777 ტონა — 399 ტონით ნაკლები, ვიდრე 14 ოქტომბერს.

დღიური კრეფა შეამცირეს თეთრი წყაროს, გორის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, ზუგდიდის, ცაგერის რაიონების, ქალაქების ჭიათურის, წყალტუბოს, ტყიბულის ზონების მეურნეობებმა. 15 ოქტომბერს აშარაში ყურძენი არ მოუკრეფიათ, ავტონომიურმა რესპუბლიკამ გეგმა მხოლოდ 43,2 პროცენტით შეასრულა.

ქართველი მევენახეების ღირსების საქმეა აამაღლონ თითოეულის პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის, უზრუნველყონ რთველის ყველა რგოლის ზუსტი მუშაობა, შეასრულონ ყურძნის დამზადების გეგმა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დაჯილდოების შესახებ

კავკასიის მინერალურ-ნედლეულის ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის, დაარსების 50-ე წელთან დაკავშირებით, ა. ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 ოქტომბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 ოქტომბერი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტში

ჟენევა, 16 ოქტომბერი. ჟენევის ერთა სასახლეში მუშაობა დაიწყო ადამიანის უფლებათა კომიტეტის მორიგმა სესიამ, რომელშიც შედიან სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მონაწილე სახელმწიფოები.

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების პაქტის მონაწილეა ევროპის ყველა სოციალისტური ქვეყანა, მათ შორის სსრ კავშირი, უკრაინის სს რესპუბლიკა და ბელორუსიის სს რესპუბლიკა, აგრეთვე მონოლეთი.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, ისინი სიტყვით გამოხატავენ ზრუნვას ადამიანის უფლებებისათვის, მაგრამ დღემდე არ შეუერთდნენ საერთაშორისო პაქტს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

გადატრიალება ჩაიშალა

ბეირუთი, 16 ოქტომბერი. როგორც ლიბანის გაზეთი „ალ-ლივა“ იუწყება, 8 ოქტომბერს სუდანში რესპუბლიკური გვარდიის ოფიცერთა ჯგუფმა სცადა სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა.

შეთქმულებმა ხელთ იგდეს პრეზიდენტის სასახლე და სამ საათზე მეტ ხანს ინარჩუნებდნენ მას, თან იგერიებდნენ ეგვიპტის ჯარებს, რომლებმაც ნომეირის თხოვნით მიიღეს მონაწილეობა სუდანელი ოფიცრების გამოსვლის ჩახშობაში.

გადატრიალების ცდის ჩახშობის შემდეგ, წერს „ალ-ლივა“, ეგვიპტის კონტრდაზვერვის ძალებმა სუდანის რესპუბლიკური გვარდიისა და შეიარაღებული ძალების ბევრი ოფიცერი დააპატიმრეს.

მდგომარეობა ჟურთისტანში

თეირანი, 16 ოქტომბერი. ირანის ჟურთისტანში გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი ჯერთ აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის.

როგორც გაზეთი „ბამდადი“ წერს, მეჩაბაღში თითქმის მთელ ღამეს გრძელდებოდა ინტენსიური სროლა. ამ ქალაქში აჯანყებულნი თავს დაესხნენ „ისლამის რევოლუციის გუშაგთა“ შტაბბინას, ჯარის გარნიზონსა და ქალდარმერიის პოლკს. ორივე მხარეს ჰყავს დახოცილნი და დაჭრილნი. აჯანყებულებს რამდენიმე საათს ალყაში ჰყავდათ მოქცეული „ისლამის რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის ქვეგანყოფილების ბაზა.

ირანის შინაგან საქმეთა მინისტრმა საბაგიანმა გაზეთ „თეჰრან ტაიმისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ შეიარაღებული შეტაკებანი ჟურთისტანში სულ უფრო მწვავდება, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა მაინც ამჯობინებს ეძებოს ჟურთთა პრობლემის გადაწყვეტის არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური გზები.

ირანის პროვინცია სისტანისა და ბელუჯისტანის გენერალ-გუბერნატორმა ხ. ძარიონმა „თეჰრან ტაიმისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პროვინციის ბევრი შეიარაღებული ტომის ბელადები „ჯერჯერობით არ აპირებენ იარაღის ჩაბარებას“. თუ შემდეგაც, თქვა მან, ისინი უარს იტყვიან მთავრობის ორგანოებისათვის იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებაზე, მაშინ იმამ ხომეინის მიერ წინათ გამოცხადებული ამნისტია გაუქმდებათ.

ადგილობრივი ხელისუფალნი, თქვა გენერალ-გუბერნატორმა, განაგრძობენ მოლაპარაკებას ტომთა ბელადებთან და ჯერ კიდევ აქვთ იმის იმედი, რომ კომპრომისს მიაღწევენ. მთავრობა მთლიანად კონტროლს უწევს ვითარებას ამ რაიონში.

ბიბლიოთეკა

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება

15 ოქტომბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალის დ. ფ. უსტინოვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მოლაპარაკება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალურ მდივანთან, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადთან.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობს, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების, აგრეთვე მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემების შესახებ.

მოლაპარაკების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ტრადიციულ შეხვედრებს, რომელთა დროს განისაზღვრება საბჭოთა კავშირისა და სირიის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები, ხდება ორივე ქვეყნის მოქმედების კოორდინაცია, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

მხარეები შეუდგნენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობისა და იქ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. მხარეებმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს ამ რაიონის მდგომარეობის საშიში განვითარების გამო, რაც იმის შედეგია, რომ იმპერიალიზმი, ისრაელი და მათი დამჭაშები მიმართავენ ხრიკებს, რომ დაიდო ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა არაბ ხალხს ძირეულ ინტერესებს და სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ახლო აღმოსავლეთის ვითარების. სამართლიანი ყოვლისმომცველი მოწესრიგების გზაზე.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაბული ქვეყნების, არაბული სამყაროს მთელი პატრიოტული ძალების შეკავშირებისა და ერთიანობის განმტკიცებას ანტიარაბული გარიგების დამორბისა და იმპერიალიზმის, სიონიზმისა და არაბული რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ არაბთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მტკიცე ბრძოლის საერთო პლატფორმაზე. ასეთ საფუძვლად, მოლაპარაკების მონაწილეთა რწმენით, ქვლავ რჩება ბოლდადის სრულიად არაბული თათბირების გადაწყვეტილებები.

□

16 ოქტომბერს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალის დ. ფ. უსტინოვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მოლაპარაკება არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალურ მდივანთან, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჰაფეზ ასადთან.

გაგრძელდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის საკითხებზე. მხარეებმა განიხილეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირისა და სირიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარება.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფომ განახორციელოს აქტიური ღონისძიებანი, რათა გამმტკიცდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, ყველაფერი იღონონ განიარაღების საქმეში კონკრეტული შედეგების მიღწევისათვის, საერთაშორისო ცხოვრების პრაქტიკაში ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის პრინციპის დამკვიდრებისათვის, რასაც მიზნად ისახავს ამა წლის 6 ოქტომბერს ბერლინში გამართულ საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის ახალი ინიციატივები.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ ლენინის ანდერძის ერთგული სსრ კავშირი ქვლავაც გაუწევს სოლიდარობას სირიელ და სხვა არაბ ხალხებს, რომლებიც იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, იბრძვიან ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

აღინიშნა, რომ სირიის პრეზიდენტის ახლანდელი ვიზიტი მოსკოვში და ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკება ახალი დიდი ნაბიჯია სსრ კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის და ურთიერთგაგების საქმეში.

ჰ. ასადმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას ახლო აღმოსავლეთის საქმეებში თანამიმდევრული და პრინციპული პოზიციისა და იმ მტკიცე მხარდაჭერისათვის, რომელსაც უწევს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას.

სირიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ ჰალიმ ჰადამი და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მუსტაფა ტლასი.

მოლაპარაკებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მთელი პარტიის საქმე

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშის გრიალში მ. ა. სუსლოვი ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით გულითადად მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის ყველა მონაწილეს.

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის მოხსენება იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე

ამხანაგებო!

თითქმის ექვსი თვე გავიდა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ. ამ ხნის მანძილზე ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პარტიულ ორგანიზაციებში, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოებში, იდეოლოგიურ დაწესებულებებში გაიმართა პარტიული კრებები, პლენუმები და აქტივები, რომლებზეც კომუნისტებმა ყურადღებით და დაინტერესებით განიხილეს ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის დებულებები და რეკომენდაციები.

ცენტრალურ კომიტეტში მიღებული საბჭოთა მოქალაქეების მრავალრიცხოვანი წერილები მოწმობს, რომ მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს, სამეცნიერო მუშაკებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ეს დადგენილება უშუალოდ მათდამი მიმართული და შეიცავს ზუსტ პასუხს ცხოვრების მიერ წამოჭრილ აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდი მოვლენა გახდა პარტიის, მთელი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი განაზოგადებს პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკას, განსაკუთრებით იმ წლებში, რომლებიც აღინიშნა სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების ნიშანსვეტებით. დადგენილებაში ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული პრობლემები, აღნიშნულია როგორც მისი ძლევამოსილი, ისე არსებითი ნაკლოვანებანიც. ამასთან საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესაბამის მითითებებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე. დადგენილების ხასიათის განაპირობებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახლანდელი ეტაპის საარსებო მოთხოვნილებები, ორი მსოფლიო სისტემის კონფრონტაციის თავისებურებები, აგრეთვე ის როლი, რომელიც ობიექტურად აკისრია თანამედროვე პირობებში პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობას.

თათბირზე, რომელიც მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჩვენ უნდა განვიხილოთ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მასში დასახული ამოცანების ეფექტიანი რეალიზაციის გზები. ეს მით უფრო დიდმნიშვნელოვანია, რომ მას აქვს გრძელვადიანი ხასიათი და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მოქმედების გრცელი პროგრამაა.

I.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც მეცნიერული კომუნიზმის პარტიის საქმიანობის მთავარი თავისებურებაა **მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ორგანული შერწყმა მუშათა კლასის რევოლუციურ პრაქტიკასთან,** ხალხის მასების ისტორიულ შემოქმედებასთან. ახალი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე ლენინის პარტია განუხრელად იცავს მარქსიზმულ პრინციპს — არა მარტო ახსნას სამყარო, არამედ შეცვალოს კიდეც იგი.

კომუნისტური მომავლისაკენ ჩვენი საზოგადოების ძლევამოსილ წინსვლას ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი განვითარების კანონების ღრმა მეცნიერული შემეცნების, განვლილი გზის, რეალური ვითარებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წამყვან ტენდენციათა საფუძვლიანი ანალიზის საფუძველზე. 15 წელი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ, რომელიც ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ისტორიული ნიშანსვეტი გახდა. პლენუმს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის განმტკიცებისათვის, პარტიული ცხოვრების, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრებისათვის, კადრებისადმი პატივისცემისა და ნდობის ვითარების, მუშაობის ჭეშმარიტად შემოქმედებითი სტილის შექმნისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულა განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის პოლიტიკური კურსის შემუშავებაში. ამ კურსის თანამიმდევრული განხორციელება პარტიისა და ხალხის შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა.

ახალი სოციალური გამოცდილების ყოველმხრივი გათვალისწინება, საზოგადოების მატერიალური და სულიერი პროგრესის საარსებო მოთხოვნილებათა საგულდაგულო ანალიზი უდევს საფუძვლად იმ დიდ იდეურ-თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას, რომელსაც დაუცხრომლად ეწევიან პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დიდი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის, ჩვენი პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებში მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის კოლექტიური გონების ძალა, მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის მეცნიერული დასაბუთება. მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ერთგულება, თეორიული ძალა, აგრეთვე უდიდესი გამოცდილება ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ენერგიის, ახალი ამოცანების გადაჭრის უნარის, ყველა ასტრონომიული ტალღის თანამედროვე მონაწილეობა, მათი აღშენებლობითი შრომის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება. ყველაფერი ეს საჭიროა ღრმად, დასაბუთებულად განვმარტოთ საბჭოთა ხალხის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, ხალხის მასები დავარწმუნოთ და შთავაგონოთ მათ მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულება და მომდევნო, მეთერთმეტე ხუთწლედისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

